გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(130) 2016 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის არჩევნების
მეორე ტური

30 ოქტომბერს საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის II ტურის მაჟორიტარულ არჩევნებში №23 საგარეჯოს საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებული 46080 ამომრჩევლიდან მონაწილეობა 16214-მა ამომრჩეველმა მიიღო.

№23 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის კომისიის წინასწარი მონაცემებით მაჟორიტარ კანდიდატთა მიერ მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ –
ზურაბ ჭიაბერაშვილი – 3290 ხმა – 20, 82%;

№41. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ –
რომან მუჩიაშვილი – 12512 ხმა – 79,18%.

ოქტომბერი საგარეჯოში

26 ოქტომბერი



27 ოქტომბერი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის მორიგ სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. სხდომაზე დღის წესრიგის საკითხზე „ივანე ელერდაშვილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ*** **ალექსანდრე მეზვრიშვილმა.**

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული ივანე ელერდაშვილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად უფლებამოსილების შესახებ.

სხდომას ესწრებოდა ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*** **ცისმარ თედიაშვილი**.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები

18 ოქტომბერი, 2016წ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **გიორგი რევაზიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე მიმოხილულ იქნა ის პრობლემები, რომლებიც მუნიციპალიტეტის თითოეული თემის სოფლებში არსებობს.

25 ოქტომბერი, 2016წ

25 ოქტომბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციულ თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებმა თემებსა და ცალკეულ სოფლებში ***მუნიციპალიტეტის გამგებელთან*** **გიორგი გზირიშვილთან** ერთად იმსჯელეს იმ საკითხებზე, რომლებიც ზამთრის დადგომამდე უნდა მოგვარდეს. კერძოდ, საკითხი ეხებოდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის ცალკეულ უბნებზე დაზიანებული მილსადენების ამოცვლას, წვიმის წყლისგან დაზიანებული საუბნო გზების მოსწორება-მოხრეშვას, ქუჩებზე წყალსაწრეტების გაკეთებას. თათბირზე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებების გატარების გზები. არსებული სამუშაოების შესასრულებლად კონკრეტული დავალება მიეცა შპს „საგარეჯოს“ ხელმძღვანელობას.

შეხვედრა ეთნიკურ უმცირესობასთან

ისაუბრეს მოსაგვარებელ პრობლემებზე

კახეთის გუბერნატორი **ირაკლი ქადაგიშვილი** და ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობით დასახლებული სოფლების მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრა, რომელიც გაცნობითი ხასიათის იყო თბილ გარემოში წარიმართა. გუბერნატორმა ის საკითხები მოინიშნა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს. ასევე, მოისმინა მათი ხედვა სოფლის განვითარებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ახალგაზრდების აქტიურობა და ჩართულობა სოფლის პრობლემების გადაჭრის საკითხებში ხელს შეუწყობს დემოკრატიული და ორ ერს შორის ინტეგრაციის პროცესების განვითარებას.

„ინფრასტრუქტურა-2016“

საგარეჯოში ახალი ბაზრის მშენებლობა დაიწყო

ქ. საგარეჯოში ბაზრის განთავსების პრობლემა დიდი ხანია აწუხებს ქალაქის მოსახლეობას, შესაბამისად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასაც, რომელთა გადაწყვეტილებით სულ ცოტა ხანში აღნიშნული პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. ოქტომბრის დასაწყისიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის დაპროექტებითა და დაფინანსებით ახლადრეაბილიტირებული თამარ მეფის ქუჩის მიმდებარედ, თვალთხევის მარცხენა სანაპიროზე დაიწყო ახალი **აგრარული ბაზრის** მშენებლობა. მშენებლობის საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვა 196 ათასი ლარია და მას ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაცია „ჰორიზონტი“ აწარმოებს. მშენებლებს უკვე მოუსწრიათ ფუნდამენტის ჩასხმა და მდინარის გასწვრივ არმატურის კარკასის მოწყობა. მშენებლობაზე შევხვდით ***ფირმა „ჰორიზონტის“*** წარმომადგენელს **გიორგი ქვლივიძეს**, რომელსაც ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა ბაზრის მშენებლობის შესახებ:

– მთლიანი ბაზრის მშენებლობა პროექტით 113 გრძივ მეტრზეა გათვალისწინებული. ეს იქნება მთლიანი მონოლითური შენობა, რომელსაც ვერაფერს დააკლებს თვალთხევის ადიდებული წყალი. სამხრეთის მხრიდან ბაზრის შესასვლელთან იქნება ორი მაღაზია – ერთი ყვავილების, მეორე ხორცისა და რძის პროდუქტების გასაყიდად. ასევე, ჩრდილოეთიდან 25 გრძივი მეტრის გასწვრივ მოეწყობა მანქანების სადგომი, მის ქვემოთ აშენდება ორი ოთახი, ერთი ე.წ. პროდუქტების შესანახი საკუჭნაო და მეორე ბაზრის ადმინისტრაციისათვის. მათ შუაში მოეწყობა ტერასული დახლები თავისი გადახურვით. ასევე, გათვალისწინებულია პანდუსების მოწყობა უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადასაადგილებლად ბაზრის მთლიან სიგრძეზე.

აღნიშნული მშენებლობის დასრულება პროექტით 2017 წლის თებერვლის შუა რიცხვებისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვცდილობთ საგარეჯოელები ამ ბაზრით ამ წელსვე გავახაროთ.

სამშენებლო ფირმას მშენებლები ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი, ის ადამიანები, ვინც იციან თავიანთი საქმე და პროფესიონალები არიან. მათ შორის არიან სამუშაოთა მწარმოებელი გოჩა პიტიურიშვილი, ქარგილის მოწყობაზე მუშაობენ: მალხაზ ნაცვლიშვილი, გიორგი ზუბალოვი, გიორგი თედიაშვილი, სანდრო თედიაშვილი და სხვები. იმედი მაქვს, რომ მათი და ჩვენი ფირმის ძალისხმევით ბაზრის მშენებლობა მალე დასრულდება და ჩადგება საგარეჯოს მოსახლეობის სამსახურში.

გ. დაბახიშვილი

სოფლის მეურნეობა

ბუნებრივი კატაკლიზმების მიუხედავად

„რთველი-2016“-ის ბარაქა



ოქტომბრის II დეკადამ და „რთველმა-2016“-მა ერთად გამოიხურეს კარი ჩვენს მუნიციპალიტეტში. გარეკახელმა მევენახეებმა საბოლოოდ დააბინავეს ბუნების სტიქიას გადარჩენილი ყურძნის მოსავალი. ბუნებრივი კატაკლიზმები უცხო როდია ჩვენებური გლეხკაცობისათვის, მაგრამ წლევანდელმა სეტყვამ მართლაც გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს: სამჯერ თითქმის ზედიზედ 30 აპრილს, 15 და 20 მაისს დაისეტყვა 4736 ჰა-ზე არსებული ვენახები, საიდანაც მსხმოიარე ფართობებს 4350 ჰა უკავია. ყველაზე ზარალიანი მაინც 15 მაისის ხანგრძლივი სეტყვა გამოდგა, რომელმაც 30-დან 80%-მდე გაანადგურა 1338 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი. 20 მაისს იგივე ოდენობით, განმეორებით დაისეტყვა ყანდაურის, ბადიაურის, კაკაბეთის, ვერხვიანის მოსახლეობის ვენახები. აქედან გამომდინარე, ჩვენს მევენახეებს გაორმაგებული ხარჯები და ძალისხმევა დასჭირდათ სეტყვას გადარჩენილი ვენახებისა და ყურძნის მოსავლის შესანარჩუნებლად, რაშიც გარკვეული შეღავათები ქვეყნის ხელისუფლებამ გაუწიათ.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებით, ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, მუნიციპალიტეტის მევენახეებს პრობლემები არ შექმნიათ ნაჭირნახულევი მოსავლის დაბინავებაში. სულ მთლიანობაში კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ფაქტიურად, ***წელს მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მიღებულია 16820 ტონა ყურძენი. აქედან, 10023 ტ – რქაწითელი, 1256ტ. კახური მწვანე, 900 ტონა – სუფრის ყურძენი, 4516ტ – საფერავი, სხვა ჯიშები – 125 ტონა.*** საიდანაც ნაწილი ჩაბარებულია ყურძნის მიმღებ ქარხნებში, ნაწილი კი მოსახლეობამ საკუთარი მოხმარებისათვის დაიტოვა, ან კერძო ბაზარზე გააკეთა რეალიზაცია.

რაც შეეხება ყურძნის მიმღებ ქარხნებში ჩაბარებული ყურძნის რაოდენობით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების მიხედვით ასე გამოიყურება: დიდი ჩაილური – 950 ტონა, ნინოწმინდა – 182, ქვემო ყანდაურა – 141, მანავი – 1361, კაკაბეთი – 2690, ბადიაური – 209, პატარძეული – 8, ზემო ყანდაურა – 44, მზისგული – 524, გიორგიწმინდა – 581, ვერხვიანი – 276, უდაბნო – 6, თოხლიაური – 892, პატარა ჩაილური – 582, საგარეჯო – 820, წყაროსთავი – 6, ხაშმი – 24, შიბლიანი – 295 ტონა.

გ. დაგახიშვილი

სამელიორაციო ინფრასტრუქტურა

წყალუზრუნველყოფილი იქნება 270 ჰა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის ბოლომდე 210 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე მოხდება წყალუზრუნველყოფის რეჟიმის გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის გ-22 გამანაწილებლის სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც 2,7 კმ სიგრძის მილსადენი მოეწყობა. სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩხეიძე და შპს „საქართველოს მელიორაციის” გენერალური დირექტორი ლევან დვალი.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 274 000 ლარია, მიმდინარე წლის დეკემბრისთვის დასრულდება.

2012 წლიდან კახეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 420 კმ სამელიორაციო არხს. შედეგად წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგიონში 6 100 ჰექტრიდან 14 880 ჰექტრამდეა გაზრდილი, ხოლო სადრენაჟე სისტემები 3 924 ჰექტარს ემსახურება.

პროექტი „დანერგე მომავალი“

პირველი ნაბიჯები

როგორც ცნობილია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს პროექტს „დანერგე მომავალი“. პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების ეფექტურობის ამაღლება, საექსპორტო პოტენციალის გაზრდა თანამედროვე სანერგე მეურნეობების შექმნისა და მრავალწლიანი ხეხილის ბაღების გაშენების სტიმულირება – ფინანსური და ტექნიკური დახმარების ხელშეწყობით.

პროექტი ითვალისწინებს სანერგე მეურნეობების შექმნის და ხეხილის ბაღების გაშენებას საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა ქალაქების: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთისა.

კახეთის რეგიონში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში, პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 33 პროექტი, რომლის თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 916947 ლარი, ხოლო ბაღების გასაშენებელი ფართობი შეადგენს 258 ჰექტარს.

იმის შესახებ თუ როგორ ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროექტი, გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აგროინჟინერიის მეცნიერებათა დოქტორი*** **ნიკო ჯაფარიძე:**

– დაიწყო თუ არა საქართველოში პროგრამის „დანერგე მომავალი“ განხორციელება, ჩვენი სამსახური აქტიურად ჩაება აღნიშნულ საქმიანობაში – სოფლად მოძიებულ იქნენ ის მოქალაქეები და კოოპერატივები, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ამ პროექტის განხორციელებაში. თითოეულ მათგანს ზედმიწევნით განემარტა პროგრამის არსი და პირობები, რამაც ბევრი მათგანის დაინტერესება და პროექტში ჩართვა განაპირობა.

ამ გატარებული ღონისძიებების შედეგად მუნიციპალიტეტში უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები: 10 ჰექტრამდე ფართობზე გაშენდა ატმის, შავი ქლიავის, თხილის, ნუშის ბაღები. კერძოდ, სოფელ თოხლიაურში თბილისელმა ცოლ-ქმარმა ლაშა და მარი მინაძეებმა პროგრამის ფარგლებში 5 ჰექტარზე გააშენეს მრავალწლიანი კულტურების – ხეხილის ბაღი: 4 ჰა-ზე შავი ქლიავი, 1 ჰა-ზე კი ატმისა და ნუშის ნერგები, მოქალაქე პაატა ჯანიკაშვილმა ქ. საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში უკვე გააშენა 3 ჰა თხილის ბაღი. ასევე, თბილისელი გიორგი კალანდარიშვილი თოხლიაურში აპირებს 2,5 ჰა-ზე კაკლის ნერგების ბაღის გაშენებას. მაია გუჯარაიძეს გადაწყვეტილი აქვს 2 ჰა ჩანდლარის ჯიშის კაკლის ბაღის ბადიაურში გაშენება. შპს „აგროვიტას“ წარმომადგენელს აპოლონ მშვიდობაძეს გადაწყვეტილი აქვს საგარეჯოში 2,3 ჰა-ზე გააშენოს კაკლის ნერგები. პატარძეულელი ვახტანგ ოქროცვარიძე გიორგიწმინდის ფართობებში 18 ჰა-ზე მოაწყობს ნუშის ბაღებს, თბილისელმა გიორგი ხარშილაძემ კი თავისი ხარჯით მოაწყო ხურმისა და ალუბლის ბაღი.

– ბ-ნო ნიკო, ძირითადად რა კულტურების გაშენება ფინანსდება ამ პროექტის ფარგლებში?

– ჩვენი რეგიონისთვის ეს ჯიშებია: ატამი, ქლიავი, ნუში, ტყემალი, კაკალი, ბალი, ალუბალი, გარგარი, ჟოლო, თხილი, მსხალი, ზეთისხილი, მაყვალი, ბროწეული, ხურმა, ვაშლი.

– ჩვენი მოსახლეობისათვის ამ პროექტით დაინტერესების მთავარი კრიტერიუმი არის ის, თუ რა ოდენობით აფინანსებს სახელმწიფო ბაღების გაშენების სამუშაოებს?

– დაფინანსდება შესასყიდი ნერგების ღირებულების 70%. მათი იმპორტის შემთხვევაში კი თითოეულ ნერგზე თანხობრივი ლიმიტი გაიზრდება არაუმეტეს 20%-ით. ასევე, ფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50% (არაუმეტეს 2500 ლარისა 1 ჰა-ზე), ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დამატებით მიიღებენ საწამლ აპარატებს საჩუქრად. ჰექტარზე გადაანგარიშებით 1 ჰა-ზე თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა 10 000 ლარია. გასაშენებელი ბაღის მაქსიმალური ფართობი არის 20 ჰა, ხოლო ერთი ბენეფიციარის მაქსიმალური თანადაფინანსება – 100000 ლარი. აქვე მინდა დავძინო, რომ ხეხილის ბაღების გაშენება დასაშვებია მხოლოდ კვალიფიციური სანერგე მეურნეობიდან შეძენილი ნერგებით, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთიდან.

– სანერგე მეურნეობები ახსენეთ და ხომ არ გამოჩნდნენ ისეთი პირები, ვისაც გადაწყვეტილი აქვს ასეთი მეურნეობების შექმნა?

– როგორ არა. ამ საქმეზე ჩვენ უკვე მოგვმართა და უახლოეს მომავალში 2 ჰა-ზე ვაზის სადედე ბაღის მოწყობას აპირებს დიდ ჩაილურში მცხოვრები ზურაბ მჭედლიშვილი. ჩვენს მუნიციპალიტეტს სანერგე მეურნეობების მოწყობისა და მუშაობის კარგი ტრადიციები აქვს და იმედია, აღნიშნული პიროვნების ინიციატივას მალე სხვებიც მიბაძავენ.

პროექტი „დანერგე მომავალი“ ჩვენი ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ საქართველოს მთავრობის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია და როცა ამ ბაღებში მოწეულ მოსავალს დაინახავენ, ამ პროექტით დაინტერესება, რა თქმა უნდა, ერთი ათად გაიზრდება.

გ. დაგახიშვილი

განათლება

ახალი შენობა – განსხვავებული, ულამაზესი და კომფორტული

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი ქვეყნის მეცნიერებისა და განათლების მინისტრობისას სოფელ ლამბალოს ეწვია – გაოცებული დარჩა... ოცდამეერთე საუკუნეში 1000 მოსწავლიანი კონტიგენტის მქონე სკოლა სოფლის სხვადასხვა მაცხოვრებელთა სახლებში, სათავსოებსა და ყოფილ ბოსელში იყო განთავსებული... მაშინ აქაურებს პირობა მისცა – ახალ სკოლას აგიშენებთო... 2013 წლის 30 აპრილს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა რეკომენდაციით მიმართა ყოფილ მინისტრსა და ახლანდელ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები, რათა საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს განათლების მიღება ნორმალურ გარემოში შეძლებოდათ...

სკოლის შენობის მშენებლობა 2014 წლის 23 იანვარს დაიწყო. მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული თურქული სამშენებლო კომპანია „AGCS Georgia“ აწარმოებდა. ერთხანს მშენებლობა შეჩერდა

და მშენებლობის დასრულების დათქმულ ვადას – 2015 წლის 16 ივნისს თითქმის ერთ წელზე მეტ ხანს გადასცილდა...

და, აი, 2016 წლის 13 ოქტომბერს, ლამბალოელთა 8 წლის მოლოდინი დამთავრდა და სკოლა საზეიმო ვითარებაში გახსნეს, სადაც ლამბალოელების გარდა შენობა მოწვეულმა სტუმრებმაც დიდი ინტერესით დაათვალიერეს. სტუმრები საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროდან, ადგილობრივი თვითმმართველობიდან, რაიონული რესურსცენტრიდან და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ. ისინი აღფრთოვანებას ვერც მალავდნენ...

***ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორის* ДАТО РОСТОМАШВІЛІС** თქმით:

– სკოლას საკმაოდ დიდი კონტიგენტი ჰყავს. აქ 1100 მოსწავლეა. გვაქვს ორი სექტორი – აზერბაიჯანულ ენაზე და ქართულ ენაზე. ქართულ სექტორზე სწავლის სურვილი ჯერ-ჯერობით 260-მა მოსწავლემ გამოთქვა. პედაგოგთა რაოდენობა ორივე სექტორზე 75-ია, აქედან ქართულ სექტორზე – 25 პედაგოგია დასაქმებული. გვაქვს 48 საფინანსო კლასი.

რაც შეეხება სკოლის შენობას, ეს ჩვენი ქვეყნის მასშტაბით და საერთოდ, კავკასიის ქვეყნების მასშტაბითაც ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული და როგორც აღვნიშნეთ – დიდკონტიგენტიანიცაა. მისი მშენებლობისთვის 4 მილიონ 344000 ლარი იყო გამოყოფილი.

აქ 43 საკლასო ოთახია. სკოლას აქვს თანამედროვე გათბობა. გვაქვს სპორტული და საკონფერენციო დარბაზი (დამხმარე სათავსოებით), ექიმის კაბინეტი, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები (3 ოთახი), ბიბლიოთეკა, სასადილო, ღია სპორტული მოედანი 300 მ2 ფართით და რაც ყველაზე თანამედროვეა, სკოლა არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. არის პანდუსები, გვაქვს ლიფტი, ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები.

ამჟამად სკოლის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება მიმდინარეობს.

წარმატებულები

საგარეჯოელი მოსწავლეები კომპიუტერებით დასაჩუქრდნენ

საქართველოს მასშტაბით წარჩინებულ მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერებით სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მეათეკლასელები დასაჩუქრდნენ. მოსწავლეებს კომპიუტერები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეებმა ქეთევან ნატრიაშვილმა და ლია გიგაურმა გადასცეს.

მუსიკასა და პედაგოგებზე უყვარებული მომავალი მუსიკოსი

საგარეჯის I საჯარო სკოლის მეექვსეკლასელი. **მარიამ საგინაშვილი** პარალელურად საგარეჯოს ჯ. ბურჯანაძის სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს კლასის მეხუთეკლასელია. უყვარს პედაგოგი მარინა ურდულაშვილი და მისი სიყვარულით საბავშვო სტუდია „მი-რე-ლა“-ში მღერის. სიყვარულით მესაუბრება თანასტუდიელებზე. არც უფროსი მირელიელები ავიწყდება და სალომე ქოქიაურის, მარიამ დარბასელისა და მაგდა ივანიშვილის მიერ შესრულებული სიმღერების მოსმენა სიამოვნებს. თავად 7 წლის იყო, როცა დედამ სტუდიაში მოიყვანა და მას შემდეგ წარმატებებს წარმატებებზე ზეიმობს: – მახალისებს ჩემს მეგობრებთან ურთიერთობა. ისინი ძალიან მეგობრულები არიან. ზოგი ჩემი სკოლელია, ზოგი სხვადასხვა საჯარო სკოლიდან. ჩვენ გაცნობის პირველივე დღიდან დავმეგობრდით, ერთად ვსწავლობთ სიმღერებს, ვცდილობთ მოკლე დროში შევისწავლოთ, – მეუბნება მარიამი და შემდეგ სამუსიკო სკოლაში მიღწეულ წარმატებებზე საუბრობს, – გასულ წელს კომპოზიტორ ბახის კონკურსზე ლაურეატი გავხდი, შემდეგ გალა-კონცერტზე გავედი, და ეს ყველაფერი ჩემი პედაგოგის მარინა ურდულაშვილის დამსახურებაა. გაზაფხულზე თელავში გამართულ შალვა დავითაშვილის სახელობის რეგიონულ კონკურსში II საპრიზო ადგილი დავიკავე და დიპლომით დამაჯილდოვეს. ვცდილობ ჩემი პედაგოგის დარიგებას კარგად მოვუსმინო და გავაკეთო ის, რაც შეიძლება მისი ხელმძღვანელობით და ჩემი მეგობრების გვერდით ადვილად შევძლო.

თავისუფალ დროს კლასიკური მუსიკის მოსმენა, მეგობრებთან ერთად ყოფნა უყვარს.

საუბარში სიყვარულით მიამბობს თავის პედაგოგებზე, თავის წარმატებებს ყოველთვის უძღვნის გამორჩეულად პირველ მასწავლებელს ლია ქარსაულიძეს, დამრიგებელ ნათელა სულიკაშვილს და მისთვის უსაყვარლეს პედაგოგსა და უფროს მეგობარს მარინა ურდულაშვილს.

ამ დღეებში „მი-რე-ლა“-ს სტუდიის წევრებმა საერთაშორისო კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და სამივე ადგილი „მი-რე-ლა“-ს გოგონებმა მოიპოვეს. მათ შორის პირველი – მარიამ საგინაშვილმა.

ვულოცავთ მარიამს და მის მეგობრებს.

სკოლამდელი აღზრდა

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში

ახალი, ლამაზი გარემო

ყველაფერი ჩვენი პატარებისათვის

ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ***(მენეჯერი ირმა ჩალათაშვილი)*** შენობა 1980 წლიდან მასპინძლობს აქაურ პატარებს. შენობა ორსართულიანია. რამდენიმე წლის წინ სახურავიდან ჩამონადენმა და თოვლის წყალმა საგრძნობლად დააზიანა II სართული და I სართულიც „მოხატა" თავისებურად. შენობის სახურავი გადაიხურა, მაგრამ შენობის გარემონტება გვიანდებოდა. და, აი, წელს ახალი სასწავლო წლის დაწყება ახალგარემონტებულ, სულ სხვა დიზაინით შეკეთებულ, გალამაზებულ პირველ სართულზე მოუწიათ პაწაწებს. გამოიცვალა კარ-ფანჯარა, იატაკი, განლაგება შეეცვალა ჯგუფების ოთახებს, სველ წერტილებს, კეთილმოეწყო სამზარეულო, სადაც წყლის გამათბობელიცაა, მაგრამ პრობლემად ცივი წყლით დაწესებულების მომარაგება რჩება. ჯერჯერობით წყალი აქ შემოაქვთ, სოფელში მალე მთლიანად მოწესრიგდება სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება და დაწესებულებასაც მუდმივი გრაფიკით ექნება წყალი.

– დაწესებულებაში 55 აღსაზრდელი გვყავს, – მეუბნება მენეჯერი ირმა ჩალათაშვილი, – აქ 2 ჯგუფია. ბაგის ასაკში 20 აღსაზრდელი გვყავს (აღმზრდელი პედაგოგი ინეზა იმნაძე, თანაშემწეები: თინა მაისურაძე და ნინო აფციაური). 5-6 წლიანებში 35 აღსაზრდელია (აღმზრდელი პედაგოგი ლია ბაცანაძე, აღმზრდელის თანაშემწე ლელა ნაცვლიშვილი). მუსიკის მასწავლებელია მეგი ჯანყოშვილი, ლოგოპედი – სოფო ტაველიშვილი, ფსიქოლოგი – მაია ზურაშვილი, მზარეული კი – ელიკო შავლიაშვილი. გვყავს მედდა მანანა ლომსაძე, რომელიც წლებია ჩვენი პატარების ჯანმრთელობას ადევნებს თვალყურს.

ახალი სასწავლო წლიდან მართლაც სხვანაირი განწყობით მოვიდნენ ჩვენთან ჩვენი პატარები. მოეწონათ ლამაზად გარემონტებული ოთახები, საკონცერტო დარბაზი, სამზარეულო, სამეცადინო, სათამაშო და საძინებელი ოთახები. დაწესებულებაში სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. სოფლის მოსახლეობა, ჩვენი დაწესებულების აღსაზრდელთა მშობლები მადლიერი არიან მთავრობის მიერ ასეთი დიდი საჩუქრისთვის. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხებით აქ ახალი მაგიდები და სკმები შემოუტანეს პატარებს. ბადიაურში მცხოვრებმა ამირეჯიბების ოჯახმა ჩვენი დაწესებულების აღსაზრდელებისათვის ლამაზი სათამაშოები შემოიტანა საჩუქრად, რამაც უფრო მეტად გაახარა ჩვენი პატარები. შენობის II სართულზე განლაგებულია მედდის და მენეჯერის ოთახები. მართალია II სართული რემონტს მოითხოვს, მაგრამ ეს მართლაც უმნიშვნელოა იმასთან, რაც გაკეთდა ჩვენი აღსაზრდელებისათვის. აქ უკვე მთელი დატვირთვით მიმდინარეობს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა. საინტერესო ღონისძიებებისათვის ემზადებიან დღეს ჩვენი პატარები, მეტ ხალისს და ინტერესს მატებთ მათ ყოველდღიურობაში დაწესებულებაში შექმნილი მყუდრო გარემო.

სადღესასწაულო

აქ მათი მეორე ოჯახია

კეთილმოეწყო „სათნოების სახლი" №2

საგარეჯოს „სათნოების სახლი" №2 (ადმინისტრატორი **დალი როსტომაშვილი**) საგარეჯოს მელიორაციისა და წყალთა სასისტემო სამმართველოს შენობის I სართულზეა განლაგებული. სახლს 135 ბენეფიციარი ჰყავს, რომელთაც ყოველდღიურად სახლის მომსახურე პერსონალი თამარ არჩუაძე (უფროსი მზარეული), ნინო დარბაისელი, ნელი როსტომაშვილი, გია დარბაისელი ემსახურება.

– სასადილო დარბაზში დილის ათის ნახევრიდან სტუმრობენ აქაური ბენეფიციარები. ერთმანეთს ესაუბრებიან, უზიარებენ თავიანთ სიხარულსაც და ტკივილსაც, უყურებენ ტელევიზორს და თავიანთი ულუფის მიღების შემდეგ სახლებს უბრუნდებიან. აქ ერთმანეთის გასაჭირი იციან, აქვთ თანაგრძნობის დიდი უნარი, შეუძლიათ ერთმანეთის გვერდში დგომა. ზოგჯერ მგონია, რომ ესენი ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან, თუმცა ასეცაა. ისინი ხომ ერთად სადილობენ, მათზე ხომ ერთნაირად ფიქრობს და ზრუნავს ჩვენი მთავრობა. მათთან ხშირად საინტერესო ლექციებს კითხულობს საგარეჯოს რაიონის ისტორიაზე, საქართველოს ძნელბედით ხანაზე ისტორიკოსი ალექსანდრე ელერდაშვილი.

ახლახან აქ რემონტი ჩატარდა. ასევე, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სამზარეულოს, სამრეცხაოს, შეძენილ იქნა სამზარეულოს ახალი ინვენტარი. ამ სიახლით კმაყოფილები არიან ჩვენი ბენეფიციარებიც – მეუბნება სახლის ადმინისტრატორი

მარიკა ხიპაშვილი: – აქ მოსვლა ძალიან მიხარია, ჩემთვის ერთადერთი ნათელი წერტილი აქაურობა და აქაური მომსახურე ადამიანები არიან. მე რომ აქ არ ვიღებდე სადილს, ნამდვილად შიმშილით სიკვდილისაგან არ ვიქნებოდი დაზღვეული. ამისთვის კი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი რაიონის გამგებელს გიორგი გზირიშვილს და სათნოების სახლის თანამშრომლებს. ყველა ძალიან თბილად და ყურადღებით გვექცევა. განსაკუთრებული სითბოთი გვხვდება ადმინისტრატორი, ჩვენი დალი. რაც შეეხება დირექტორს ილია კუჭუაშვილს, ისიც ხშირად შემოდის დარბაზში და ჩვენი ამბებით ინტერესდება.

ავთო ყიასაშვილი: – აქ როცა მოვდივარ, ყოველთვის თბილად და ყურადღებით მხვდებიან, სადილიც ყოველთვის კარგი და გემრიელია. აქ დამხდურების სითბო ყველაფერ ცუდს მავიწყებს.

ნათელა ბაჩოშვილი: – ძალიან მიყვარს აქ მოსვლა. ყველა ყურადღებით მექცევა. ხშირად ჩემს გაჭირვებულ ყოფას ვუამბობ და მათაც ზეპირად იციან ჩემი გასაჭირი. მეც და ჩემი მეუღლეც კმაყოფილი ვართ მათი მომსახურებით.

უშუს საგარეჯოელი „არწივები"

წარმატებებისკენ ჯანსაღი თაობის აღზრდით

საინტერესო და სასიამოვნოა ის წარმატებები, რასაც საგარეჯოს უშუ კონფუგუს კლუბ „არწივის" წევრები ამ ბოლო პერიოდში თავიანთი მიზანმიმართული ვარჯიშებით აღწევენ. კლუბის ***ინსტრუქტორი იოსებ ბრატიაშვილი*** საგარეჯოელია, არის საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის წევრი, დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ამჟამად შინაგან საქმეთა საგარეჯოს რაიგანყოფილების კრიმინალური პოლიციის თანამშრომელია. იოსები სტუდენტობის პარალელურად მეცადინეობდა ჩინურ საბრძოლო ხელოვნებაში. 2012 წელს საგარეჯოში მისი თაოსნობით დაარსდა ზემოთ ხსენებული კლუბი, რომელიც რუსთაველის ქუჩაზე (ყოფილი მევენახეობის მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში) კომერციულ ფართში განთავსდა. აქ ამ წლების განმავლობაში მოახერხა და შეიტანა ინვენტარი, მაგრამ, ჯერჯერობით კლუბის წევრებს კიდევ ბევრი რამ აკლიათ – სრულყოფილი მეცადინეობისა და ორთაბრძოლებში მონაწილეობისათვის. საუბრის დასაწყისში იოსებს მცირე მიმოხილვა ვთხოვეთ ამ საბრძოლო ხელოვნების შესახებ. აი, რა გვითხრა:

– კონგფუ, ანუ გონგფუ ჩინურ ენაზე ითარგმნება, როგორც მუშაობა, ძალისხმევა ან მძიმე შრომის შედეგად შეძენილი ოსტატობა. ეს არის ჩინური ხელოვნება, რომელიც XX საუკუნის 60-70-იან წლებში დასავლეთის პრესამ გაავრცელა და ჩინური საბრძოლო ხელოვნების სახელით გახდა ცნობილი. უშუ სამხედრო ხელოვნებას ნიშნავს და ჩინური საბრძოლო ხელოვნების სპორტულ ვერსიასთან ასოცირდება, რომელიც სხეულის სიჯანსაღეს ემსახურება და ესთეტიკურ მიზნებს ისახავს, ძალიან განსხვავდება ძველი, ტრადიციული საბრძოლო ტექნიკისაგან. ცნობილია საბრძოლო ხელოვნების დაახლოებით 2000 სტილი. წარმოიდგინეთ, რომ ჩინური უშუს საფუძველზე აღმოცენდა ინდოჩინეთის ქვეყნების, კორეის, იაპონიის თითქმის ყველა საბრძოლო ხელოვნება – ჯიუ-ჯიცუ, კარატე, ტაეკვონდო და სხვა. ყველა მისი ტრადიციული სტილი შეიცავს ბრძოლის ოთხ დონეს – ფეხის მოძრაობის ტექნიკა, დარტყმები, სხვადასხვა გდებები – ჭიდაობის ტექნიკა და ბლოკირებისა და შებოჭვის ტექნიკა.

რაც შეეხება უშუ-ს, ეს არის ჩინეთში არსებული ყველა საბრძოლო ხელოვნების საერთო სახელი. შედგება ორი იეროგლიფისაგან – „უ" – საომარი და „შუ" – ხელოვნება ტექნიკა. შინაარსით კუნგ-ფუ და უშუ ერთი და იგივეა და სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც საბრძოლო ხელოვნება.

უშუს პირველი სკოლა საქართველოში ცნობილმა ჩინელმა ოსტატმა სიუენ ჯაო შანმა დააფუძნა, სახელწოდებით – „თბილისი შაოლინსი ცუან ფა", სადაც ასწავლიდა არწივის სტილს „სინ ინგ ჩუანს". აქ 300-მდე მოსწავლე ვარჯიშობდა. შანი მაქსიმალურად გასცემდა საკრალურ ცოდნას თავის რჩეულ მოსწავლეებზე. ის იყო არა მარტო საბრძოლო ხელოვნების ოსტატი, არამედ, როგორც მკურნალი ექიმიც. იგი პაციენტებს ნემსოთერაპიითა და ციგუნ თერაპიის გამოყენებით მკურნალობდა. მისი თაოსნობით 1989 წელს საქართველოში შეიქმნა უშუს ეროვნული ფედერაცია. ამან დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მყოფ უშუს ენთუზიასტებს მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა შეჯიბრებებში, ფესტივალებ-

დასასრული მე-7 გვერდზე

საჩუქარი

სოციალურად დაუცველთათვის პროექტის განხორციელება დაიწყო

სოციალურად დაუცველ მშობლებს ბავშვის დაბადებამდე ბევრად ადრე ეცოდინებათ, რომ დაბადების რეგისტრაციისას, დაახლოებით, 60 ლარის ღირებულების პირველადი მოხმარების საგნებს მიიღებენ და მოცემულ თანხას ბავშვისათვის საჭირო სხვა ხარჯების დასაფინანსებლად მიმართავენ

სპეციალური საჩუქარი შედგენილია კვლევის საფუძველზე და დაკომპლექტებულია ახალშობილი ბავშვისთვის პირველადად საჭირო ნივთებით და 180 ცალი საკვები დანამატის ვიტამინებით, რომლებიც „UNICEF"-ის სტანდარტით კვების დეფიციტის აღმოფხვრისთვის არის აუცილებელი

პროექტი „კეთილი იყოს შენი მობრძანება" ფონდ „შალვე"-ს მხარდაჭერით ისარგებლებს. ფონდს მხოლოდ ორი კონკრეტული მიზანი აქვს: ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისთვის პროექტების დაფინანსება; სოციალურად დაუცველ ახალშობილ ბავშვებში კვების დეფიციტის აღმოფხვრის ხელშეწყობა

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

„ᲚᲔᲙᲕᲘ ᲚᲝᲛᲘᲡᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ“

ᲒᲐᲠᲔᲯᲮᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ᲫᲐᲚᲘᲡ მიერ კოსმოსის დალაშქვრის შემდეგ, გასაკვირი აღარც ყოფილა ის დიდი შესაძლებლობები, რაც ვითომდა სუსტი სქესის წარმომადგენლებს აქვთ. დღეს აღარ უკვირთ ქალი-ფეხბურთელი, მოჭიდავე, მძღოლი, პრეზიდენტი, მკლავჭიდელი და ა.შ. ჩვენც საგარეჯოელებსაც გვყავს გოგონები მოჭიდავეები და გოგონები ფეხბურთელები.

საგარეჯოში მოქმედმა *გოგონათა ძიუდოს სექციამ* (მწვრთნელი **ᲚᲣᲓᲛᲘᲚᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲔ**) ჩამოყალიბების პროცესიდანვე მიიქცია ყურადღება. მათ გამარჯვებებს მხოლოდ საგარეჯო კი არა, საქართველოც ზეიმობს. როგორც იცით, ***ოქტომბერში რუმინეთში ვაჟებთან ერთად თავი საგარეჯოელმა გოგონებმაც ისახელეს,*** მათ საოცარი შესაძლებლობები აჩვენეს ჭიდაობა სამბოშიც. მოგეხსენებათ, ეს სახეობა ბევრად განსხვავდება ძიუ-დოსაგან. ასე, რომ ძიუდოს გოგონები უცებ სულ სხვა მისიაში აღმოჩნდნენ – მათ არც შესწავლილი და არც დახვეწილი ჰქონდათ სამბოს მოთხოვნები, მაგრამ... საოცარი შედეგებით დაბრუნდნენ საგარეჯოში. დღეს მათზე გვინდა გესაუბროთ.

ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ („ᲧᲘᲤᲨᲘᲜᲝ“) – საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი. ჰყავს ერთი ძმა – ირაკლი – 16 წლის, ფეხბურთელი, მეკარე და ორი და ოლიკო – 19 წლის და თავისზე უმცროსი – 11 წლის თაკო. ნატა დაბადებიდანვე სუსტი იყო, ხშირად ცივდებოდა, უწევდა ტემპერატურა და ყველაფერს შემდეგ ფილტვების ანთება ართულებდა. და ამის მიზეზი მისი მოუსვენარი ხასიათი იყო. არასოდეს ისვენებდა, ცელქობდა, ყველაფერს ყირამალა აყენებდა... და, აი მამამ ვახტანგ ყიფშიძემ, რომელიც კრივს, ბრძოლას წესების გარეშე, შტანგის აწევას მისდევდა, მოიფიქრა და ნატას მოუსვენრობისა და ავადმყოფობისაგან ოჯახის „დასაცავად“ სპორტულ დარბაზში მიიყვანა – ივარჯიშოს და იქ დახარჯოს ის ენერგია, რომელიც მას აგრერიგად „აწვალებსო“... ნატა სერიოზულ ვარჯიშს 7 წლის წინ მოეკიდა – ძიუდოზე დაიწყო სიარული და... კიდევაც გაუმართლა...

– მხოლოდ ძიუ-დოში არ გამიმართლა,– მეუბნება „ყიფშო“ (როგორც მას ალერსით ეძახიან), გამიმართლა მშობლებში, და-ძმაში, მეგობრებში, თანამებრძოლებში და რაც მთავარია, მწვრთნელში და ჩემზე მოამაგე ადამიანებში. ამაში მართლაც ბედნიერი ვარ. მყავს შესანიშნავი, მზრუნველი მწვრთნელი – ლუდა ფერაძე, რომელთანაც მუშაობაზე ოცნებობს ბევრი თბილისელი და არა მარტო თბილისელი. ჩვენი, ქართველების „შურთ“ შუა აზიის ქვეყნების, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის მოჭიდავეებს. ჩვენი ლუდა მასწავლებელი მხოლოდ მწვრთნელი არ არის, ის ჩვენი დიდი მეგობარი და იგივე დედაა. ჩვენთან ისე შემოდის, როგორც მეგობრებთან, არასოდეს გვიყვირის, არ გტუქსავს, არასოდეს ბრაზობს ჩვენს შეცდომებზე, ყოველთვის მეგობრულად გვითითებს, რჩევებს ხშირად გვაძლევს. თანაც, ჩემი ნათლიაცაა და ჩემი თანაგუნდელებისაც. როცა შეჯიბრზე მივდივარ, ყოველთვის ისეთ რჩევას მაძლევს, რომელთა გათვალისწინებაც მე მიწევს დროულად. ლუდა მასწავლებელი მსაჯიცაა (ის ერთადერთი ქართველი ქალი მსაჯია), ამიტომაცაა მისი შენიშვნები მისაღები. წელს ვიყავი ანტალიაში, სადაც ევროპის თასი თამაშდებოდა, იქ მესამე ადგილი ავიღე, ევროპის ჩემპიონატზე ფინეთში მეხუთე ადგილზე „დავრჩი“, რუმინეთში სამბოში კი II ადგილზე გავედი.

– ნატა, რაღაც გაბრაზებული და ცრემლებმომდგარი ჩანხარ რუმინეთში, რაში იყო საქმე, რა მოხდა? – ვეკითხები.

– სამბო არ არის ძნელი, მაგრამ იქ ძირითადი აქცენტი „ფეხით მუშაობაზეა“ გადატანილი. რუსებს ეს კარგად აქვთ გამჯდარი, მე კი – როგორც ძიუდოისტს, მაინც და მაინც არ მიმუშავია ამაზე, – მეუბნება, – როგორც ძიუდოისტს ხშირად გამომიყენებია ილეთი: ჩოქულა – კისრული და კაურითაც მომიგია. როგორ გითხრათ, სუსტი ფეხები მაქვს-მეთქი, არ იქნება მართალი, მაგრამ მაინც ვარჯიში ყველაფერს ნიშნავს. რაც შეეხება ჩემს თვალებაწყლიანებას, ეს ჩემს თავზე გაბრაზებით მომივიდა, მე ვერ შევძელი ის, რაც შეიძლება ადვილად გამეკეთებინა, ვბრაზობდი იმაზე, რომ შემეძლო გამარჯვება, რაღაც ნახევარი ნაბიჯიღა მაკლდა იქამდე, მაგრამ რატომ ვერ მოვიწადინე, არ ვიცი... არა უშავს, ეს შეხვედრები მე ბევრ გაკვეთილს მაძლევს. შეჯიბრის შემდეგ ყოველთვის ვაანალიზებ ჩემს შეხვედრას, ვარჩევ შეცდომებს, ვფიქრობ, როგორ შეიძლებოდა ამ შეცდომის არ დაშვება. მაგრამ, ერთს ვიტყვი – როცა სპორტსმენი შედის ხალიჩაზე, მან ხალიჩაზე ფეხის დადგმამდე და იმ წამებშიც მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა იფიქროს, არ უნდა დაიმშვიდოს გული, რომ მოწინააღმდეგე „რაღაცით“ მასზე სუსტია, მასში ყოველთვის ძლიერ მეტოქეს უნდა ხედავდეს.

ᲗᲘᲜᲐᲜᲝ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ – *საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე.*

თინანო ყოფილი მოჭიდავის დევა რევაზიშვილის ერთადერთი ქალიშვილია.

ხელჩაკიდებული პირველ კლასში მამამ მიიყვანა. მას შემდეგ ერთად არიან მამა და თინანო, თინანო და მამა. დედამ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ადევნა თინანოს პირველკლასელობას თვალყური – სარეცელზე მიჯაჭვულმა, მძიმე ავადმყოფმა და დღესაც სჯერა თინანოს – დედა ვარსკვლავებთან ერთად დაჰყურებს მის ზრდა-განვითარებას...

მამამ სკოლის პარალელურად, ცეკვაზეც მიიყვანა.

– 4 წელი ვიარე ცეკვის წრეში, ეს იყო ნაძალადევი სიარული, – იცინის თინანო, – არ მაინტერესებდა ცეკვა. ძალიან მინდოდა ჭიდაობაზე სიარული, მამას ხომ შეჯიბრებებზე და მეცადინეობებზე, როგორც მაყურებელი ისე დავყავდი. ჩემს დეიდაშვილებსაც და ბიძაშვილებსაც სულ ვეჭიდავებოდი, აშკარად მქონდა ძალა, მაგრამ მაშინ გოგონების სექცია არ იყო. ვთამაშობდი ფეხბურთსაც. მაგრამ ის ჩემი ცეკვის წლები შემდეგ გამომადგა, ისიც ხომ ვარჯიში იყო... მესამე წელია მივედი ძიუ-დოს სექციაში, სადაც საოცრად თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი ქალბატონი – ჩვენი ლუდა მასწავლებელი დამხვდა. მისგან სხვა სითბო და სიყვარული მოდის. შეუძლია თბილისიდან ჩამოვიდეს, ტემპერატურა შემიმოწმოს, ყელი ამომიწმინდოს, წამლები დამალევინოს, მომიაროს როგორც საკუთარ შვილს... არ ვიცი, ამდენი სითბო როგორ აქვს. თუ რამე დამსახურება, წარმატებები მაქვს, სულ მისი შრომაა ჩადებული. ჩვენ – ძიუდოისტი გოგონები მხოლოდ სექციის წევრები არ ვართ – ჩვენ ვართ ძალიან ახლო მეგობრები, ერთი ოჯახის წევრები. ამას გვაგრძნობინებს სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობაც თავისი მზრუნველობით. ვუყურებ ლუდა მასწავლებელს და მინდა მისნაირი ადამიანი გამოვიდე, მეც მინდა სპორტის აკადემიაში ჩავაბარო და მწვრთნელად და მსაჯად ჩამოვყალიბდე, როგორც ის არის. ყველა ვარჯიშისა და შეჯიბრის შემდეგ მშვიდი, აუღელვებელი ტონით შეუძლია ჩვენი წარმატებების გარჩევა და წარუმატებლობის გაანალიზება. ასეთი ადამიანი მეორე არც მეგულება. მე ვიყავი აზერბაიჯანში, სადაც II ადგილი დავიკავე, ვიყავი ანტალიაში, ფინეთში, სადაც წარმატება ვერ მოვიპოვე, რუმინეთში კი შევძელი და III ადგილი ავიღე, არადა, შემეძლო II ადგილის თავისუფლად დაკავება.. სწორედ ეს წარუმატებლობები მაფორიაქებს და მაღიზიანებს – რატომ არ შეიძლებოდა თავისთვის ძალა დამეტანებინა და გამარჯვებით ლუდა მასწავლებელი მესახელებინა. ვაკვირდებოდი ჩემი თანატოლის უკრაინელი დარია ბელოსტიტის გამოსვლებს და სულ ვცდილობ მეც მისნაირი თავდაჯერებული ვიყო, თუმცა, ჯერ სამი წელია, რაც ვვარჯიშობ.

– თინანო, გამარჯვების დროს ვისზე ფიქრობ, ყველაზე მეტად ვის გაუხარდება შენი წარმატება? – ვეკითხები.

– რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა მამაჩემს, მე მას ვუძღვნი ყოველ ჩემს გამოსვლას და წარმატებას. წარმოვიდგენ, რომ ლუდა მასწავლებელი ხომ სიხარულისგან აცრემლდება, შემდეგ ჩემი ძიუდოისტი გოგონები გაიხარებენ, ჩემი სკოლის მეგობრები, სკოლა, ნათესავები, საგარეჯოელები,– მეუბნება თინანო.

– უფალმა ინებოს და სრულიად საქართველოს ეზეიმოს შენი გამარჯვებები, – ვლოცავ.

– კი, დალოცვა მჭირდება, ოქტომბრის ბოლოს ტიუმენშია შეჯიბრი, შემდეგ დეკემბერში კვიპროსში – მსოფლიო ჩემპიონატი 2000 წლიანებში,. ვნახოთ.

„ᲘᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲡᲐ...“

რუმინეთში საგარეჯოელი **ᲚᲐᲨᲐ ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მიერ ვერცხლის სინჯის მედლის მოპოვებამ დიდი სიხარული გამოიწვია აქ, საქართველოში. ლაშას ამ

დღეებში შევხვდით, ვესაუბრეთ და სიმართლე გითხრათ, საოცრად პოზიტიური ახალგაზრდა აღმოვაჩინეთ. ახალგაზრდა, რომელიც ყოველგვარი კომპლექსის გარეშე, თავისუფლად, აზრიანად გვესაუბრება ყველაფერზე – გვეგონა, დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით, თანატოლები და სპორტს ერთად შეჭიდებულები...

ᲚᲐᲨᲐ ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელია. სკოლაში სწავლის პარალელურად 5 წელი ცეკვის წრეში დადიოდა და შემდეგში კარგად გამოადგა მეცადინეობებზე მიღებული ვარჯიშები და ილეთები. 11 წლისამ ჭიდაობის სექციაში დაიწყო ვარჯიში, ოღონდ ძალიან, ძალიან მკაცრ მწვრთნელთან – მამუკა მათიაშვილთან.

– ჩვენი მწვრთნელი ისეთივე მკაცრია ჩემთან, როგორც ყველა სხვა მოსწავლეებთან, უფრო მეტიც, უფრო მეტად მკაცრი და მომთხოვნია. მისთვის მეცადინეობაზე მე ისეთივე მოსწავლე ვარ, როგორც სხვა. ამ დროს არაფერში მზოგავს. ჩემი შვილი მეტად პასუხისმგებლიანი უნდა იყოსო, გამოაცხადა ოჯახში და მხოლოდ ვარჯიშის შემდეგ „ვხდები“ მისი შვილი – სახლში მივდივარ თუ სადმე გასავლელი ვარ, – მეუბნება ლაშა, – მე ასეთი ურთიერთობა ნამდვილად მაწყობს, არ მინდა ვინმემ იფიქროს და თქვას, ეს საქართველოს ჩემპიონის ძიუდოში სამბოსა და ჭიდაობაში, ორჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი ძიუდოში და ჰოლანდიის ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებსა და დიდებში, სპორტის ოსტატის მამუკა მათიაშვილის შვილიაო. მე ჩემი ადგილის დამკვიდრება მინდა სპორტში. ერთი ეგ არის, ცეკვისა და ფეხბურთის შემდეგ გულმა ჭიდაობისკენ გამიწია. ჩემი წარმატებები მშობლებს, ახლობლებს უხარიათ, მაგრამ სახლში მისულს ჩემი უმცროსი ძმა, ბაღის აღსაზრდელი მათე დიდი ამბით ჩამომართმევს მედალს, სიამაყით დაიკიდებს გულზე, მაღალი ხმით გამოაცხადებს – მათე მათიაშვილი – for Georgia, თავს დაგვიკრავს გამარჯვებულის იერით, შემდეგ ისეთივე პომპეზურობით მოიხსნის მედალს და დადებს, კაცს ეგონება, მართლაც მისიაო. მასაც ჩემპიონობა, მსოფლიოს დაპყრობა უნდა მომავალში, ვნახოთ...

მათე ჩემპიონობის გახსენებაზე იწყებს სერიოზულ ვარჯიშებს და „კუნთებს ისინჯავს“.

ლაშა ჯერ მოჭიდავეთა 1999-წლიანების სიაშია. მის ანგარიშზე უამრავი წარმატებებია – საქართველოს პირველობაზე ორჯერ გახდა გამარჯვებული სამბოში, ძიუ-დოში, ქართულ ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში შვიდგზის პრიზიორია. ახლახანს რუმინეთში ვერცხლის სინჯის მედლის მოპოვებამ კი მხოლოდ საგარეჯოელები კი არა, საქართველო და ემიგრაციაში მყოფი ქართველები ისე აღაფრთოვანა, სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ძალიან მოსწონს ქართული ჭიდაობა, თუმცა ძიუდოს სექციაშია, მაინც უპირატესობას ქართულ ჭიდაობას ანიჭებს. – სულ სხვანაირი ილეთები აქვს და უფრო მეტად ჩანს აქ ვაუკაცობა. ქართულის მიმართ პატივისცემაო მისთვის არც სამბოა უცხო. რუმინეთში სწორედ სამბოში იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე.

– ყოველი ოლიმპიადის შემდეგ წესები იცვლება. ძიუდოში ფეხში შესვლა სულ ახლახანს აკრძალეს. რატომღაც უნდათ ჭიდაობის სხვადასხვა სახეები დახვეწოს და გაალამაზონ, – მეუბნება ლაშა,– ახლა დიდი სურვილი აქვთ სამბო ოლიმპიურ სახეობად აქციონ. კარგად გეცოდინებათ, რუსეთში სამბო როგორ განვითარდა, გაძლიერდა. მათი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის თანადგომით მათ მართალია დიდი ხელშეწყობა აქვთ, მაგრამ რომ გაიყვანოთ ჩვენი ძიუდოისტი, რომელიც სამბოში არ ვარჯიშობს, მაინც მოუგებს, იმიტომ, რომ ქართველისთვის სულ ერთია ტატამზე შეეპაექრება მეტოქეს, თუ ხალიჩაზე. მას ქართული გენები აქვს და თვითონ იცის, ზოგჯერ მექანიკურს უწოდებს ზოგიერთი, მაგრამ ეს ახლაც ვთქვი, გენეტიკური ცოდნაა ჭიდაობის თითოეული ილეთის და მეორეც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ტარდება შეჯიბრი, თქვენ უნდა ნახოთ ქართველები რა გულშემატკივრები არიან ერთმანეთის, თუნდაც პირადში და გუნდურში, ვაკვირვებთ უცხოელებს. მათ არ იციან გულშემატკივრობა, ჩვენი ბიჭები კი მთელ დარბაზს აიყოლიებენ და მთელი დარბაზი თავისდაუნებურად ხდება ქართველთა გულშემატკივარი. ძალიან მიყვარს და მეამაყება ეს გულშემატკივრობა, ეს სიყვარული ერთმანეთის მიმართ. მართლაც შეიძლება ითქვას თამამად, რომ ჩვენ ქართველები ერთი გუნდი ვხდებით, სადაც არ უნდა ვიყოთ, აქ საქართველოში, თუ იქ საზღვარგარეთ. მეტი მოტივაცია გვაქვს გამარჯვებისათვის,– გვეუბნება ლაშა.

გამარჯვებები არ მოგკლებოდეს შენ და შენს ერთ გუნდად შეკრულ მოჭიდავეებს.

ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ

სპორტი

„ლეკვი ლომისა სწორია“

ნინოწმინდელი ფეხბურთელები

ნინოწმინდის საჯარო სკოლის (დირექტორი ლია შენგელიძე) ვაჟ ფეხბურთელთა გუნდი არაერთ გამარჯვებას ითვლის. გასულ წელს თბილისის II ლიგაში მათ II ადგილი დაიკავეს და 2007-2008 წლიანებში ქვეყნის ხუთეულში შევიდნენ. 2016 წელსაც ბევრჯერ ისახელეს თავი და თავიანთი სკოლის მოსწავლე გოგონების მხრიდან დიდი გულშემატკივრობა დაიმსახურეს. შემდეგ კი, სასწავლო წლის ბოლოს, გოგონებმაც „ჩამოაყალიბეს“ ფეხბურთელთა გუნდი და ახლა ფეხბურთელი ბიჭები: მოსე გორგილაძე, გიორგი მანძულაშვილი, ლექსო კონიაშვილი, გიორგი გორელაშვილი, გიორგი მეფარიძე (მეკარე და გუნდის კაპიტანი) თავიანთი გულშემატკივრების მხარდამჭერები და გულშემატკივრები გახდნენ.

სამი თვეა, რაც ქრისტინე როსტომაშვილი, მარი როჭიკაშვილი, ლიკა ბაქარაშვილი, სალომე ბაირამაშვილი, მარი ბაირამაშვილი, ეკა მეფარიძე და დოდოკა კერატიშვილი „ფეხბურთელებად“ მოინათლნენ. დოდოკა გუნდის კაპიტანია. მათ მაგარი თამაში აჩვენეს თბილისში. თბილისის ლიგაში (2005 წლიანებში) პირველი თამაში 3:3 დაამთავრეს. ეს მაშინ, როცა სულ ორი თვე ჰქონდათ ნავარჯიშევი.

გოგონების და ვაჟების მწვრთნელი საგარეჯოელი ზურაბ კევლიშვილია, რომელიც

საზოგადოებრივ საწყისებზე (თავად ოჯახი სოციალურად დაუცველია) ავარჯიშებთ. ზურაბი ყოფილი ფეხბურთელია. მეორე კლასიდან „ნორჩ დინამოში“ დაიწყო ვარჯიში. იქ 4 წელი იყო, შემდეგ „მართვეში“ გადაიყვანეს. შოთი და აჩი არველაძეებთან თამაშობდა პირველ ლიგაში 2 წლის განმავლობაში, 6 წელი საგარეჯოს ფეხბურთელთა გუნდ „გარეჯში“ გია ილაურის, რეზო ხებრელაშვილის, ზაზა ღვთისავრიშვილის, ლევან თედიაშვილის გვერდით ვარჯიშობდა და თამაშობდა (მწვრთნელი რეზო გოცირიძე)... მას შემდეგ წლები გავიდა... ვერ გაძლო ფეხბურთის გარეშე და 3 წელია ნინოწმინდელ მოზარდებს და ერთი წელია გიორგიწმინდელებს ავარჯიშებს. ცდილობს, თავადაც არ დაკარგოს „სპორტული ფორმა“, ვარჯიშობს, მაგრამ უპირველესად თავის მოვალეობად თვლის – მომავალ თაობას შეაყვაროს ფეხბურთი, ვარჯიში.

ფეხბურთელი გოგონების ხსენებაზე სახე უფრო თბილი უხდება და მეუბნება: – თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ ვარჯიშობენ ისინი. მაგარი ფეხბურთი აჩვენეს ქრისტინე როსტომაშვილმა და დოდოკა კერატიშვილმა. დოდოკა გუნდის კაპიტანია, მათ გასაოცარი თამაში აჩვენეს თბილისში. 2005 წლიანებში პირველი თამაში მართალია 3:3 დაამთავრეს, მაგრამ თბილისელების დიდი ინტერესიც გამოიწვიეს.

– მაინც რას მოელით გოგონებისგან?

– როგორ გითხრათ, რახან მათ თბილისელი მწვრთნელები გააოცეს, ესე იგი, კარგი მომავალიც ექნებათ. თანაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ძალიანაა დაინტერესებილი გოგონების ფეხბურთის განვითარებით, მათ კარგი ხელშეწყობა ექნებათ და ვნახოთ, ნინოწმინდელი გოგონები ჯერ მესამე თვეა მუშაობენ თავიანთ თავზე, მოწადინება, ინტერესი დიდია, ვნახოთ...

ჭიდაობის ახალი სექცია

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა კვლავ აღორძინდება

ბერძნულ-რომაული (კლასიკური) ჭიდაობა – სპორტული ორთაბრძოლის სახეობა, რომელიც ეყრდნობა ხელების და ბეჭების მოქმედებას (გამორიცხავს წელს ქვემოთ მოჭიდებას, ფეხის გამოდებას და ა.შ.). ამ ჭიდაობის ფორმით ჩამოყალიბდა საფრანგეთში XIX საუკუნის I ნახევარში. 1896 წლიდან შეტანილია ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, 1904 წლიდან მსოფლიოს, ხოლო 1898 წლიდან კი ევროპის ჩემპიონატებში. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1912 წლიდან და მასში 120 ქვეყანაა გაერთიანებული.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საგარეჯოს რაიონში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციამ ფუნქციონირება შეწყვიტა. სექციის მწვრთნელმა ვასიკო ლაფანიშვილმა თავის დროზე არაერთი მოჭიდავე გაზარდა. მათ შორის თამაზ ყიფიანიც, რომელიც ჯერ კიდევ საგარეჯოს II საჯარო სკოლაში სწავლისას შევიდა ამ სექციაში. ქალაქის IV საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1986 წლიდან სწავლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო, შემდეგ სამხედრო-სავალდებულო სამსახურიც მოიხადა 1993 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გერმანიაში ცნობილ მოჭიდავეთა გუნდს კიდევ ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭიდავე შეემატა. კონტრაქტით ის „ბუნდესლიგის“ სხვა მოჭიდავეებთან ერთად გერმანიის სახელით გამოდიოდა. მანამდე იყო საქართველოს ჩემპიონი დიდებში, სსრკ-ს ჩემპიონი – ჭაბუკებში, ახალგაზრდებს შორის სსრკ-ს პირველობაზე III ადგილის მფლობელი, 1985 წლის ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებული (დიდებში). გერმანიაში წარმატებებს წარმატებებზე ითვლიდა, აქ 18 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წაგება აქვს.

2009 წელს ახმეტაში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და წლევანდელი ევროპის პრიზიორი ჭაბუკ კადეტთა შორის – ქერიმ მაჩალიკაშვილი მისი აღზრდილია.

ოქტომბერში კი საგარეჯოში აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომელთა ძალისხმევით ***ბერძნულ-რომაული ორთაბრძოლის სექცია გაიხსნა***, სადაც ***მწვრთნელად*** **თამაზ ყიფიანი** დაინიშნა. ახლადგარემონტებულ დარბაზს 18 ოქტომბერს საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ორთაბრძოლებში თემურ ყაზარაშვილი, ფედერაციის თანამშრომლები, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი სპორტის საკითხებში ლაშა იაკობიძე, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექტორი გია მაისურაძე, გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ საგარეჯოში ავთანდილ ფანოზიშვილი და „სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები ეწვივნენ. მათ დაათვალიერეს დარბაზი,. გამგეობის მთავარმა სპეციალისტმა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა სპორტის საკითხებში ლაშა იაკობიძემ დარბაზის მოსწავლეებს სავარჯიშო ინვენტარი გადასცა. როგორც საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმა აღნიშნა, საგარეჯოს აქვს პოტენციალი იმისა, რომ აქ კვლავ წარმატებით დაიწყოს ფუნქციონირება ბერძნულ-რომაული ორთაბრძოლის სექციამ და თავიანთი სიტყვა თქვან აქაურებმა ჭიდაობის ამ სახეობაშიც. ჩვენ კი ყველანაირად შევეცდებით ხელი შევუწყოთ აქ ისეთი პირობების შექმნას, რომელიც მრავალ ახალგაზრდას დააინტერესებს და აქ ვარჯიში გზას გაუხსნის შემდგომი წარმატებებისაკენ.

უშუს საგარეჯოელი „არწივები“

წარმატებებისკენ ჯანსაღი თაობის აღზრდით

დასასრული

ში, სემინარებში. 1991 წელს საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაცია გახდა უშუს საერთაშორისო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი, 2006 წელს გახდა ევროპის უშუს ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი.

– რას იტყვით უშუალოდ საგარეჯოს კლუბზე?

– ჩვენი კლუბის „არწივის“ დარბაზში 24 ვარჯიშობს დღეისათვის. კლუბი 2012 წელს დაარსდა. მასში ძირითადად ახლო-მახლო მცხოვრები ახალგაზრდები და საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, მაგრამ არიან დაინტერესებული პირებიც, რომლებიც შორი მანძილიდანაც მოდიან. მალე სპორტის ეს სახეობა ოლიმპიური თამაშების სახეობად იქცევა და ამდენად, ინტერესიც იზრდება. ჩვენ, მართალია, გვაქვს დარბაზი საჭირო და აუცილებელი სპორტული ინვენტარით აღჭურვილი, მაგრამ არ გვაქვს ტატამი, ის ატრიბუტები, ის სპეციალური ტანსაცმელი, რაც ამ დროსაა საჭირო. ჩვენ ივნისში მონაწილეობა მივიღეთ უშუს IX საერთაშორისო ტურნირში, სადაც 8 ქვეყნის 150 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას და გასაოცარი შედეგები აჩვენა ჩვენი კლუბის წევრმა კონსტანტინე ბერძენიშვილმა (16 წლის, საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლე). მან პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილი – ნიკოლოზ ბერძენიშვილმა, მესამე კი – ნიკა გულუამ და გიორგი გულისაშვილმა. ჩვენ გვყავს საქართველოს ჩემპიონი, 9 წლის დავით ყავლაშვილიც. ასევე, პერსპექტიულია გიორგი კუჭუაშვილი, რომელმაც III ადგილი დაიკავა საქართველოს ჩემპიონატზე. დიდ იმედებს ვამყარებთ ასევე, ოთარ ყავლაშვილზე, ირაკლი ბასარიაზე (75კგ). ჩვენს კლუბს ძიუდოისტი გოგონებიც შემოემატნენ – ხათუნა და ხატია მინდიაშვილები. ჩვენთან ვარჯიშობს მარიამ ბერძენიშვილი. ისე, ძალიან კარგია, თუ ჩვენი მოსწავლეები მოახერხებენ და ჭიდაობის რომელიმე სექციაშიც იმეცადინებენ.

– მომავალში რას აპირებთ, რისთვის ემზადება კლუბი „არწივი“?

– ჯერ უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოვუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილს, რომელიც დაინტერესდა ჩვენი კლუბის მუშაობით, გვესტუმრა, დაათვალიერა, გაეცნო ჩვენს მუშაობას, ივნისის შეჯიბრზე გასამგზავრებლად ჩვენს სპორტსმენებს ფულადი დახმარება გაუწია. დარბაზის დათვალიერების შემდეგ დაგვპირდა, რომ ჩვენს კლუბს გარკვეულ დახმარებას გაუწევს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. ახლა, 27 ნოემბერს ჩვენი კლუბი საქართველოს უშუ სანდის თასის გათამაშებისათვის ემზადება. კარგი იქნება, თუ ახლაც ჩვენს მოსწავლეებს იქ მონაწილეობისათვის დააფინანსებს, რადგან მათ თავად უხდებათ საკუთარი ხარჯების გაღება, რაც ზოგიერთი ოჯახისათვის მძიმეა.

შემდეგში კი, 2017 წლის ნოემბერში დაგეგმილია საქართველოს ჩემპიონატი ჩვენთან, საგარეჯოში ჩატარდეს, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. აქ კი, ამ შემთხვევაში ჩვენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარების დიდი იმედი გვაქვს. ჩვენც გვინდა ჩვენი სიტყვა ვთქვათ და თამამად განვაცხადოთ ყველა უშუს მიმდევარის სიტყვები: „ჩვენ ყველგან ვართ, ყველ;ა კონტინენტზე, ჩვენ ვცდილობთ ჯანსაღი თაობის აღზრდას მსოფლიოსთვის. ჩვენ ამას შევძლებთ, ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“.

– წარმატებებს გისურვებთ.

– მადლობა.

კულტურა

ლიტვის სახალხო თეატრი საგარეჯოში

ლიტვის სახალხო თეატრი 5 დღიანი გასტროლით საგარეჯოში იმყოფებოდა. თეატრის დასის წარმომადგენლები საგარეჯოში ჩამოვიდნენ, მათ საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა მასპინძლობდათ.

შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს სახალხო თეატრი მიმდინარე წლის გაზაფხულზე მიწვეული იყო ლიტვაში, ქალაქ კაუნასში, თეატრალურ დღეებზე, სადაც მათ ლიტველი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „მე, შენ, ის“.

ამ ვიზიტმა საგარეჯოსა და ლიტვის სახალხო თეატრებს შორის მეგობრობას ჩაუყარა საფუძველი.

ლიტველ მსახიობებს ჩვენი თეატრის მსახიობებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, მათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილიც შეხვდა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები და ასევე ექსკურსიები საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ.

ლიტველმა მსახიობებმა საგარეჯოელებს თავიანთი სპექტაკლი „ზღაპარი ცხვარზე“ წარმოუდგინეს. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ბანცხადება

2016 წლის 2 დეკემბერს 12 საათზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქუჩა №9), გაიმართება შპს „კანარგო-ჯორჯია“-ს ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 1000 მ2 ტევადობის 2 ახალი რეზერვუარის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 2 ახალი 1000 მ2 ტევადობის რეზერვუარის მშენებლობა და ექსპლოატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

**** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქუჩა №9;***

**** შპს „კანარგო-ჯორჯია“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კოსტავას გამზირი №70***

**** შპს „გამა-კონსალტინგი“-ს ოფისში –ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.***

ტელ: 2 60 15 27. E-mail: j.akhvlediani@gamma.ge.

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „კანარგო ჯორჯიას“-ს ადმინისტრაცია

ცსოვნა

ნანა ზირაქაშვილი-ათუაშვილი

ერთი წელი გავიდა უკვე... ერთი ტკივილიანი და ცრემლებნარევი წელი...მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს დროს?! რამ უნდა დაგვავიწყოს შეგრძნება, რომელიც შენი დაღუპვის ამბის გაგებისას დაგვეუფლა...ის საშინელი განცდა და წუთისოფლის წამიერი სიძულვილი... განცდა, რომელიც ქარიშხლის მიერ უკანასკნელი იმედის ნაპერწკლის ჩაქრობას ჰგავდა... ერთი წელია ვსაუბრობთ; ვსაუბრობთ ყოველდღე, ვსაუბრობთ სიყვარულით, გაკვირვებით, მონატრებით და ვერ ვხვდებით, განა რა დავაშავეთ ასეთი, რომ შენი სიკვდილით დავისაჯეთ?!. არ ვიცით, რა დავარქვათ იმ იმედგაცრუებას, ყოველ დილით სკოლის გზაზე მარტოდ მომავალი შენი შვილების თვალებში რომ ვხედავთ ; სამასწავლებლოში შესვლისთანავე გაყინული მინიდან მომზირალ შენს ბრიალა თვალებს რომ ვაწყდებით; შენი ზარივით ხმა რომ ჩაგვესმის; შენი სასწაული კისკისი რომ გვენატრება; სული აგვიფორიაქე ნანი ამ ერთი წლის განმავლობაში!.. შენს საფლავთან მოსვლასაც კი ვერიდებით; მოვალთ და თვალს გარიდებთ!.. იქნებ გვეშინია?! უშენობის დაუნდობელი ტკივილი გვაშინებს, თავს გვახსენებს, მოსვენებას არ გვაძლევს, ან იქნებ გვერცხვინება, რომ ვერ დაგიცავით?! სიკვდილმა რომ გატეხა ჩვენი მტკიცე, შეურყეველი პედკოლექტივი?! მაგრამ არა, ნანი! არ დაიჯერო, რომ გავტყდით, არ დაიჯერო, რომ შენი გარდაცვალება დავიჯერეთ! შენ ჩვენში ხარ, თითოეულ ჩვენგანში! შენთან ერთად ვხარობთ და შენთან ერთად გვტკივა! შენი სახელი ისევ ისე წარმოითქმის, როგორც წარმოითქმოდა! შენს კლასს, როგორც ყოველთვის, ისევ ნანას კლასს ვეძახით, შენს ბავშვებს-- ნანას მოსწავლეებს, შენი ადგილი ისევ შენია სამარადჟამოდ!

შენ კი, შენ... იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის პედკოლექტივის სახელით

ნინო ვარაზაშვილი

ნიკა ბეშანიშვილი

ჩემს საყვარელ ნიკას

გავიდა 6 თვე, მძიმე და ცრემლებით სავსე სევდიანი დღეები, ჩემო ნიკავ, ჩემო გულის ტკივილო, შვილო. მოვიდა შემოდგომა, ნიკა უშენოდ ჩავტარეთ პატარა რთველი, რომელიც ცრემლიანი იყო. შენ გვაკლდი, შვილო, შენი ხელი, შენი ჯანი, ჯანი, რომელიც კლდეს მოგლეჯავდა. ყოველ საღამოს შენი მშობლები შენს საფლავზედ არიან, შვილო. წყალს ხიდავენ ხელით და საფლავზედ დარგულ ყვავილებს უსხამენ, რომ ლამაზი საფლავი გქონდეს. მარტო ისინი კი არა, შენი მამიდაშვილები, პატარა დათუნა, შენი კლასელები, ამხანაგები და შენი თანამშრომლებიც. მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება, არასოდეს გეკლდა შენი თანამშროლების სიყვარული და დაამტკიცეს კიდეც. 3 თვე მარკეტ „პრადაში“ შენს ადგილზედ არავინ მიიღეს. ამით ხომ დიდად დააფასეს შენი სიყვარული და შენი ვაჟკაცობა. შენ ხომ თეო გყავდა უფროსი, რომელსაც ძმას ეძახდი. თუ სადმე წასვლა დაგჭირდებოდა, თეო, ძმაო, გამიშვი, წასვლა მინდაო. ნეტავ იმ საღამოსაც არ გაეშვი, რომელიც მძიმე და საბედისწერო იყო შენთვის, ცოცხალი აღარ დაგვიბრუნდი.

შვილო, ნიკა, შენი დარდით პაპამ ინფარქტი მიიღო, გულის უკანა კედელი გაბზარული აქვს და მეც მალე მივიღებ ინფარქტს უშენობით. ჩემო დიდო სიყვარულო, ჩემო მონატრებავ. შენზე ვოცნებობთ, რომ როგორ დაგინახოთ ჩვენს გვერდით, შემოხვალ ჩვენს ეზოში და ჩვენს სახლში, როგორ მოგილოცოთ დაბადების დღე. 31 ოქტომბერს 22 წლის გახდი. ეს ხომ ზღაპარია, მაგრამ გვენანები, რომ შენ გარდაცვლილად მოგიხსენიოთ. როცა შენი სადღეგრძელოა, ყოველთვის ცოცხლად გადღეგრძელებთ.

ნიკა, ცოცხლად გაგიმარჯოს!

გეგია ანგელინა და
პაპა იური ბეშანიშვილები

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ზურაბ აგულაშვილსა და თამარ ყუშიტაშვილს სიდედრისა და დედის

ლილი ყუშიტაშვილის

გარდაცვალების გამო.